ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3536329

ნომერი: AR1537751

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 13.09.2017

გაცნობის თარიღი : 14.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფიელ დვალის ქუჩა , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარი მღვდელაძე პ/ნ 01012018576
- ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ კორპ 407 ბ 57

ორგანიზაცია:

- ვარკეთილაირი კოდი: 206149522

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 5 სექტემბრის №AR1537751 განცხადებით მომართა შპს „გუმბათის“ (ს/კ:406157180) დირექტორმა ნუგზარ მღვდელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებით შეთანხმდა: ქ.თბილისში, რაფიელ დვალის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კN 01.19.39.026.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 05 ივლისიდან 2018 წლის 05 ივლისის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ვარკეთილარი'' (ს/კ:206149522).

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებას და შპს ,,ვარკეთილარი'' (ს/კ:206149522) ნაცვლად შპს „გუმბათის“ (ს/კ406157180) დაფიქსირებას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შპს ,,ვარკეთილარის'' (ს/კ:206149522) და შპს ,,გუმბათის“ (ს/კ406157180) წარმომაგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმაოდგენს ნუგზარი მღვდელაძე, რომელიც სამსახურს მომართავს ბრძანებაში შპს „გუმბათის“ (ს/კ406157180) დამკვეთად დაფიქსირების მოთხოვნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „გუმბათი“ (ს/კ406157180).
2. სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 ივლისის №3370203 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.